არ უგულებელყო არც ერთი კეთილი საქმე, თუნდაც რომ შეხვდე შენს ძმას ღიმილით

გადმოცემულია აბუ ზარრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: მოცუქილმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) თქვა: «არ უგულებელყო არც ერთი კეთილი საქმე, თუნდაც რომ შეხვდე შენს ძმას ღიმილით».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებდა კეთილი საქმეების შესრულებას და იმას, რომ არ უგულებელვყოთ ისინი, თუნდაც მცირედი იყოს. ასეთ საქმეებში შედის ღიმილი, როდესაც შეხვდებით თქვენს ძმას. მუსლიმი უნდა ცდილობდეს ამის გაკეთებას, რადგან ეს გამოხატავს გულთბილობას მორწმუნე ძმის მიმართ და მისი გახარების მიზეზი ხდება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5348